საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>თემურ გოგოხია</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 1.08.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურა?
დიახ (✓)   არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს

მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის

ნიკოლოზ მარსაგიშვილის

კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის N1/47 განკარგულებით დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 02 ივლისის N1/53 განკარგულებით, კანდიდატად დარეგისტრირდა ნიკოლოზ მარსაგიშვილი (შემდგომში - „კანდიდატი").

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 18 ივლისს, ჩემი მონაწილეობით, საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 22 ივლისს, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/75 განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა ერთი კანდიდატი - ნიკოლოზ მარსაგიშვილი.

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] -ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, 2024 წლის 01 აგვისტოს, საბჭოს ღია სხდომაზე ჩატარდა კენჭისყრა, რა დროსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის

თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დავუჭირე ნიკოლოზ მარსაგიშვილის კანდიდატურას.

კანდიდატის მხარდაჭერის დასაბუთება:

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, აგრეთვე კანდიდატთა საჯარო მოსმენის შედეგების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ჩემ მიერ კომპოტენტურობის კრიტერიუმით შეფასების შედეგად კანდიდატმა დააგროვა უმარლესი შეფასება სხვა კანდიდატებტან შედარებით.

საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა გამოავლინა კანონმდებლობის, ასევე ქართული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა. კანდიდატი ასევე გამოირჩევა მრავალფეროვანი პროფესიული გამოცდილებით (როგორც სამოსამართლო, ისე არა სამოსამართლო საქმიანობის დროს) მათ შორის საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება. კანდიდატის სპეციალობით მუშაობის სტაჟი აღემატება 25 წელს, სხვადასხვა დროს კანდიდატი მუშაობდა საქართველოს პროკურატურის ორგანოებსა და სასამართლოში, მათ შორის ეკავა მეწეჯერული თანამდებობები ამავე სამსახურის სისტემებში.

კანდიდატმა საერთო რეიტინგში მიიღო უმაღლესი შეფასება, კერძოდ დააგროვა მაქსიმალური შეფასების (93,00 %) და დაიკავა პირველი ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობისათვის აუცილებელ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად.

თემურ გოგოხია 01/08/2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი